ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო87.8722248001**
თარიღი:**05/09/2022**

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №8

ქ. ახმეტა 31 აგვისტო, 2022 წელი

სხდომის თავმჯდომარე: იოსები ქარუმაშვილი- ახმეტის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ: გ. ონიაშვილი, კ. მამულაშვილი, ბ. კაიშვილი,

რ.გახუაშვილი, გ.მამუჩარაშვილი, შ.ტერტერაშვილი

გ.შაშიაშვილი.

სხდომა გაიხსნა 11^{00} საათზე.

სხდომის თავმჯდომარე იოსები ქარუმაშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. **„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 3 აგვისტოს №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

2. **„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

3. **ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში მდებარე უსახელო ქუჩისთვის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლის ალექსანდრე სულხანიშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

/მომხსენებელი - გიორგი მამუჩარაშვილი/

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM

4. **ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში მდებარე უსახელო ქუჩისთვის სამხედრო-სავალდებულო სამსახურში ტრაგიკულად დაღუპული ბაჩუკი ფეიქრიშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

/მომხსენებელი - გიორგი მამუჩარაშვილი/

5. **ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში მდებარე უსახელო ქუჩისთვის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გივი ახალაურის სახელის მინიჭების შესახებ**

/მომხსენებელი - გიორგი მამუჩარაშვილი/

6. **ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში მდებარე უსახელო ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული მიხეილ ზურაბაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

/მომხსენებელი - გიორგი მამუჩარაშვილი/

7. **ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღრაანში მდებარე უსახელო ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული ბრძოლის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული კაკო ბობოქაიძის სახელის მინიჭების შესახებ**

/მომხსენებელი - გიორგი მამუჩარაშვილი/

8. **ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში მდებარე უსახელო ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული ნოდარ არუთინოვის სახელის მინიჭების შესახებ**

/მომხსენებელი - გიორგი მამუჩარაშვილი/

9. **ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ქართველი მწერლის და საზოგარო მოღვაწის რაფიელ ერისთავის სახელის მინიჭების შესახებ**

/მომხსენებელი - გიორგი მამუჩარაშვილი/

10. **ქალაქ ახმეტაში მდებარე გაგარინის ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული გიორგი გამიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

/მომხსენებელი - გიორგი მამუჩარაშვილი/

11. **ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაბინაანის ცენტრალურ ქუჩისთვის სპორტის დამსახურებული ოსტატის ფარნაოზ ჩიკვილაძის სახელის მინიჭების შესახებ**

/მომხსენებელი - გიორგი მამუჩარაშვილი/

12. **ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში მდებარე უსახელო ქუჩისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მეხანძრე-მაშველის ლევან ოღაძის სახელის მინიჭების შესახებ**

/მომხსენებელი - გიორგი მამუჩარაშვილი/

13. **ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში მდებარე უსახელო ქუჩებისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

/მომხსენებელი - გიორგი მამუჩარაშვილი/

14. **ქალაქ ახმეტაში მდებარე უსახელო მოედნისათვის კახეთის 1659 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაურის ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

/მომხსენებელი - გიორგი მამუჩარაშვილი/

15. **ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ალვანის ცენტრალური ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის სახელის მინიჭების შესახებ**

/მომხსენებელი - გიორგი მამუჩარაშვილი/

16. **ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდის ცენტრალური ქუჩისთვის ალავერდის დამაარსებლის იოსებ ალავერდელის სახელის მინიჭების შესახებ**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 3 აგვისტოს №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი - მერიის დებულების დამტკიცების შესახებ საკრებულოს დადგენილების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ვ“ ქვეპუნქტის და პრეამბულის ხარვეზი.

ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია დადგენილებაში არსებული ხარვეზის ჩასწორება,

პროექტის მიხედვით ცვლილება შედის მერიის დებულების პრეამბულაში და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ვ“ ქვეპუნქტში,კერძოდ:

1. პრეამბულაში არასრულადაა მითითებული ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის სტატუსი;

2. მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ვ“ ქვეპუნქტში, სადაც საუბარია მერის უფლებამოსილებებზე. კერძოდ, თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით მუნიციპალიტეტის მერი ახდენს მერიის თანამდებობის პირებისთვის, სხვა მოხელეებისთვის ან **ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისთვის** უფლებამოსილების დელეგირებას კანონით/უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მერიის მოქმედ დებულებაში მითითებულია, რომ მერი ახდენს მერიის თანამდებობის პირებისთვის ან სხვა მოხელეებისთვის უფლებამოსილების დელეგირებას. წარმოდგენილი ცვლილების მიხედვით ხდება ამ ხარვეზის გასწორება და ჩაიწერება, რომ მერი ასევე ახდენს უფლებამოსილებების დელეგირებას ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისთვის კანონით/უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

8 - მომხრე;

<u>მოისმინეს:</u> „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელმა განმარტა საკითხი: ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია სამსახურის დებულებაში აისახოს ცვლილება, რომლის მიხედვითაც სამსახურს ექნება საკუთარი ბეჭედი და განისაზღვრება მისი გამოყენების წესი.

პროექტის მიხედვით ინფრასტრუქტურის სამსახურის დებულების პირველ მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის მე-1^1 პუნქტი: „სამსახურს აქვს ბეჭედი საკუთარი დასახელების აღნიშვნით.“.

ინფრასტრუქტურის სამსახურს დებულებით განესაზღვრა ინფრასტრუქტურული ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ზემოაღნიშნული ფუნქციების სწრაფად და ხარისხიანად განსახორციელებლად სამსახურს ესაჭიროება საკუთარი ბეჭედი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

8 - მომხრე;

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების,ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო:

გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის სხდომის ოქმი, რის საფუძველზეც ხდება ქუჩების სახელდება.

ბიუროს ოქმს თან ახლავს სამთავრობო კომისიის სხდომის ოქმი.

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში მდებარე უსახელო ქუჩისთვის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლის ალექსანდრე სულხანიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო საკითხი:

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში არსებულ ცენტრალურ ქუჩას ეწოდოს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის თავდადებული მებრძოლის, სოფელ აწყურის მკვიდრის **ალექსანდრე სულხანიშვილის** სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

8 - მომხრე;

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში მდებარე უსახელო ქუჩისთვის სამხედრო-სავალდებულო სამსახურში ტრაგიკულად დაღუპული ბაჩუკი ფეიქრიშვილის სახელის მინიჭების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს:

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში არსებულ №18 ქუჩას ეწოდოს სამხედრო-

სავალდებულო სამსახურში ტრაგიკულად დაღუპული ბაჩუკი ფეიქრიშვილის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

8 - მომხრე;

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში მდებარე უსახელო ქუჩისთვის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გივი ახალაურის სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში არსებულ №27 ქუჩას ეწოდოს ჭიდაობაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გივი ახალაურის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

8- მომხრე;

<u>მოისმინეს</u>: ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში მდებარე უსახელო ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული მიხეილ ზურაბაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი დამსწრე წევრებს:

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში არსებულ №17 ქუჩას ეწოდოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული მიხეილ ზურაბაშვილის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

8 - მომხრე;

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღრაანში მდებარე უსახელო ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული ბრძოლის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული კაკო ბობოქაიძის სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს:

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღრაანში არსებულ ცენტრალურ ქუჩას ეწოდოს საქართველოს ტერიტორიული ბრძოლის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული კაკო ბობოქაიძის სახელი

.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

8 - მომხრე;

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში მდებარე უსახელო ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული ნოდარ არუთინოვის სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს:

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში არსებულ №16 ქუჩას ეწოდოს საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული ნოდარ არუთინოვის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

8 - მომხრე;

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ქართველი მწერლის და საზოგარო მოღვაწის რაფიელ ერისთავის სახელის მინიჭების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი დამსწრე წევრებს:

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში არსებულ №3 ქუჩას ეწოდოს ქართველი მწერლისა და საზოგარო მოღვაწის რაფიელ ერისთავის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

8 - მომხრე;

<u>მოისმინეს:</u> ქალაქ ახმეტაში მდებარე გაგარინის ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული გიორგი გამიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა საკითხი:

ქალაქ ახმეტაში მდებარე იური გაგარინის ქუჩის მონაკვეთს ეწოდოს აფხაზეთის ომში

გმირულად დაღუპული გიორგი გამიაშვილის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

8 - მომხრე;

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაბინაანის ცენტრალურ ქუჩისთვის სპორტის დამსახურებული ოსტატის ფარნაოზ ჩიკვილაძის სახელის მინიჭების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი ბიუროს დამსწრე წევრებს:

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაბინაანში არსებულ ცენტრალურ ქუჩას ეწოდოს

1964 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორისა და ევროპის

ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ფარნაოზ

ჩიკვილაძის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

8 - მომხრე;

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში მდებარე უსახელო ქუჩისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მეხანძრე-მაშველის ლევან

ოღაძის სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს:

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში მდებარე №6 ქუჩას ეწოდოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მეხანძრე-მაშველის ლევან ოღაძის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

8- მომხრე;

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში მდებარე უსახელო ქუჩებისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში მდებარე №1 და №41 ქუჩებს ეწოდოს საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

8- მომხრე;

<u>მოისმინეს:</u> ქალაქ ახმეტაში მდებარე უსახელო მოედნისათვის კახეთის 1659 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაურის ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი დამსწრე წევრებს:

ქალაქ ახმეტაში ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე არსებულ უსახელო მოედანს ეწოდოს,

კახეთის 1659 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაურის ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

8- მომხრე;

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ალვანის ცენტრალური ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის სახელის მინიჭების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს:

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ალვანში მდებარე ცენტრალურ №20 ქუჩას ეწოდოს საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

8- მომხრე;

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდის ცენტრალური ქუჩისთვის ალავერდის დამაარსებლის იოსებ ალავერდელის სახელის მინიჭების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი დამსწრე წევრებს:

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდში არსებულ ცენტრალურ ქუჩას ეწოდოს

ალავერდის მონასტრის დამაარსებლის იოსებ ალავერდელის სახელი.

საკრებულოს თავმჯდომარემ დააყენა ინიციატივა, რომ მორიგი გასვლითი სხდომა, გაიმართოს სოფ. ქისტაურის ადმინისტრაციულ ერთეულში. რასაც ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ბიუროს სხდომა დაიხურა 12^{10} საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: იოსები ქარუმაშვილი

იოსები ქარუმაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM